წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. წყალტუბო 27 იანვარი, 2023 წელი

2023 წლის 27 იანვარს, 14:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: კობა გურეშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: სერგო კირკიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი დოლიძე

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი, ზურაბ ლექვინაძე;

წევრები: ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, სალომე ჯიმშელეიშვილი, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, ნოდარ ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:ლევან ჩანქსელიანი, ვლადიმერ ხურცია,ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, გელა ბურჯალიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გრიგოლ ყურაშვილი,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი- მარეხ კანკაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი- ნათია ჩაკვეტაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე-ირმა ხელაძე,საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე -მზია კიკალიშვილი , საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ირინა ჩაკვეტაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და

ახალგაზრდობის ცენტრი''-ს მმართველის მოადგილე- გოჩა ჯიქია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' მმართველი-მანანა ტყეშელაშვილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის'' მმართველი - ვერა ზურაბიანი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების '' მმართველი დავით იობიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის '' მმართველი რევაზ მესხი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის '' მმრთველის მოვალეობის შემსრულებელი შორენა შანიძე, საკრებულო საჯარო მოხელეები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების '' თანამშრომელები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.
საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის #136(გ-49.49223082 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

2.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №81 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

3.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

4.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

5.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.

/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

6.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:არჩილ ღიბრაძე/

7. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე/

8.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხს :არჩილ ღიბრაძე/

9.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხს :არჩილ ღიბრაძე/

10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხს :არჩილ ღიბრაძე/

11..არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში

ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს :არჩილ ღიბრაძე/

12.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხს :არჩილ ღიბრაძე/

13. ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: შალვა კილაძე, თანამომხს: ნათია ჩაკვეტაძე/

14.ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის'' ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №36 96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:შალვა კილაძე/

15. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:შალვა კილაძე/

16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:შალვა კილაძე/

17..წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს:მალხაზ ჩხეიძე/

18. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

19.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

20.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით- იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/მომხს.რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

21.,,ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU41TD)-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)''-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ

/მომხს: რევაზ დიდავა/

22.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს.ნოდარ ასათიანი,თანამომხს:ნინო ხურცია/

23.სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

/მომხს:ნოდარ ასათიანი/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე -32
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის #136(გ-49.49223082 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''. მაკა ჭელიძემ გააკეთა განმარტება, რომ ქალბატონ ნარგიზა ტყაბლაძეს სურს გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი(შესაბამისი განცხადება წარმოდგენილია), ხოლო რაც შეეხება როინ როხვაძეს, ის აღარ არის მითითებული კომისიის წევრი. აქედან გამომდინარე აუცილებელია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა დამტკიცდეს თავიდან, ხოლო მოქმედი განკარგულება, რომლითაც არის შემადგენლობა დამტკიცებული ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის #136(გ-49.49223082 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №81 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №81 დადგენილება(სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე'') და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ ბიუჯეტი იყო 24 915 000 ლარი, იქნება 36 345 204 ლარი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება -11 430 204 ლარით.
ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერება 11 430 204 ლარი.
არჩილ ღიბრაძემ დამსწრეთ გააცნო 2018 , 2019 , 2020 , 2021 , 2022 წლების ვალდებულებები.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-32
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
5.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.
6.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე

დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

7.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

8.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" საშტატო ნუსხასა და სახელფასო

განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების მმართველმა **დავით იობიძემ** აღნიშნა,რომ მის მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში გაგზავნილი იქნა წერილი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების განხორციელების შესახებ'' რამდენად მისთვის არის ცნობილი ამ წერილის კორექტირებული ვარიანტი იქნა გადაგზავნილი საკრებულოში . სახელფასო განაკვეთებში ცვლილების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მას ერთპიროვნულად არ მიუღია, ის შეხვდა ყველა თანამშრომელს და გაიგო თანამშრომელთა საერთო აზრი. თანამშრომლების მოთხოვნა იყო,რომ დასუფთავების მანქანის მძღოლებისა და კეთილმოწყობის თანამშრომლების ხელფასი ყოფილიყო 1000 ლარი,ხოლო დასუფთავების თანამშრომლების 700 ლარი.

დავით იობიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია გაერთიანებაში მოხდეს შტატების დამატება, რათა თანამშრომლებმა იმუშაონ ცვლებში და შეუმსუბუქდეთ მდგომარეობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გრიგოლ ყურაშვილმა** აღნიშნა, რომ ის პრობლემები რასაც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების თანამშრომლები აყენებენ აქტუალურია, მაგრამ ამ ეტაპზე ბიუჯეტში არსებული რესურსი არ იძლევა სახელფასო ფონდის ზრდის საშუალებას იმაზე მეტით, ვიდრე განხორციელდა იანვრის თვეში. 1 თებერვლიდან ეტაპობრივად მოხდება ხელფასების არანაკლებ 10%-ით ზრდა.

ფატი გაგოშიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ახალარჩეული მერისა და საკრებულოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' ადმინისტრაციისა და უკლებლივ ყველა თანამშრომლებისათვის 3-ჯერ მოხდა ხელფასის მომატება, რაც მანამდე არსებულ ხელფასთან მიმართებით შეადგენს საკმაო რაოდენობას, მაგალითად მძღოლებისათვის მომატება შეადგენს 100%-ს (ჰქონდათ 500ლარი, აქვთ 1000 ლარი, მუშებისათვის თითქმის 120%-ს,(ჰქონდათნ 410 ლარი, აქვთ 900 ლარი) ხოლო მეეზოვეებისათვის 100%-ს (ჰქონდათ 375 ლარი, ახლა აქვთ 750 ლარი).

დასუფთავების სერვისის თანამშრომლებს: დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერს ჰქონდა 650 ლარი, გაუხდა 980 ლარი, მუშების კოორდინატორს ჰქონდა 500 ლარი, გაუხდა 880 ლარი, მეეზოვეთა კოორდინატორს ჰქონდა 500 ლარი , გაუხდა 880 ლარი, დასუფთავების მუშას ჰქონდა 440 ლარი, გაუხდა 900 ლარი და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, ახლანდელი მომატება, ბიუჯეტის ფარგლებში ეხება ყველა თანამშრომელს, გარდა დირექტორისა და ორი მოადგილისა. აღნიშნული ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და სრულად ვერ აფასებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' თანამშრომელთა საქმიანობას, მაგრამ ამ ეტაპზე ბიუჯეტში

არსებული რესურსის გათვალისწინებით განხორციელდა სახელფასო ფონდის ზრდა. კერძოდ, 2023 წლის 1 თებერვლიდან სახელფასო ფონდი გაიზარდა 405600 ლარით.

ცხადია, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ამ საკითხით და შესაძლებლობის ფარგლებში მომავალშიც გაგრძელდება ხელფასების ზრდის ტენდეცია.

თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, ჩვენთვის ცნობილია თუ როგორ მძიმე პირობებში უხდებათ ამ ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს მუშაობა, ისე გამოდის, რომ დღეს ეს ხალხი ხელფასის ზრდას აპროტესტებს, თუმცა ეს შეგნებულად არ ხდება. თანდათან მოხდება სახელფასო ფონდის ზრდა.უნდა ვიფიქროთ, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ანაზღაურება უნდა მიეცეს ამ თანამშრომლებს.

კობა გურეშიძემ კითხვით მიმართა (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' მმართველს იმის შესახებ, თუ ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ ჰქონდა არანაირი კომუნიკაციის მცდელობა მას საკრებულოსთან, როგორც ზემდგომ ორგანოსთან, რომელიც იძლევა თანხმობას სახელფასო განაკვეთების შესახებ და როგორც მან, ასევე საკრებულოს ყველა თანამდებობის პირმა, სწორედ ახლა, საკრებულოს სხდომაზე რატომ გაიგეს აღნიშნული პრობლემის შესახებ. ცხადია, აღნიშნული ქცევა, გამოხატული ყოველგვარი კომუნიკაციის, პრობლემის შინაარსის გაცნობისა და საკრებულოს სხდომაზე სპონტანურად მსგავსი ფორმით დაყენების გზით, შეიძლება ატარებდეს პოლიტიკურ ელფერს,-აღნიშნა მან.

სერგო კირკიტაძემ აღნიშნა, რომ მისი მცდელობის მიუხედავად, დაკავშირებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' მმართველს უშედეგოდ დამთავრდა, დავით იობიძემ მის ზარებს არ უპასუხა.

ირმა ცხაკაიამ აღნიშნა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' ადმინისტრაციული შენობის ფართი სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. რაც შეეხება თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე შენობას, არსებული პირობების გამო იქ მუშაობა შეუძლებელია.

მან მადლობა გადაუხადა ქალაქის ხელმძღვანელობას მისი და მისი შვილის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისთვის.

თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე შენობა,იმ პერიოდამდე, სანამ მოხდებოდა კეთილმოწყობისა და დასუფთავების ა(ა)იპ-ების შერწყმა (გაერთიანება) იყო კეთილმოწყობილი და მასში შესაბამისი პირობები იყო შექმნილი სამუშაოდ.

ავთანდილ გაბუნიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფლის მოსახლეობაზე დასუფთავების გადასახადის დარიცხვა ხელს შეუწყობს სოფლის სავარგულების დანაგვიანებისგან დაცვას.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

სხდომათა დარბაზიდან გავიდა საკრებულოს წევრი ზურაბ ლექვინაძე.

9.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე..

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

10.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

11.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე, მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

12.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

13.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ აღნიშნა, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე განხილული დადგენილების პროექტიდან განსხვავებით დამატებული აქვს მუხლი 7 და მუხლი 8.

მუხლი: 7 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას.აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია''.

მუხლი: 8 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 12000-ის ჩათვლით) ოჯახების მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენა,რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია, ექვემდებარე დემონტაჟს და არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

14.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის'' ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №36 96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის №36 96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

15.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

16.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წლის III- IV კვარტალში გაწეული

მუშაობის შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

17. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

18. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

19. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე- 31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
20. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი
მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
21. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU41TD)- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)''-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოდგენილი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.
მომხრე-31
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU41TD)- ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი

(CESL)''-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

22. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ასათიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

23. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ასათიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა-გელა თათარაშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო სკოლისათვის ამა თუ იმ პირის სახელის მინიჭების საკითხი წესრიგდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის #194 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესი''-თ, რომლის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია ის აუცილებელი პირობები (კრიტერიუმები) რა შემთხვევაშიც შეიძლება სკოლისათვის სახელის მინიჭება. კერძოდ:

ა)სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო ან სასულიერ პირის სახელით;

ბ)სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი;

გ)სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის აღმნიშვნელი;

დ)ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალებიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

ცხადია, ამ შემთხვევაში, ვინაიდან საკითხი ეხება პიროვნებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტი ვერ განიხილება, ასევე რამდენად არის დაცული ,,დ'' ქვეპუნქტის მოთხოვნები(ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თავალასაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი) მოცემულ შემთხვევაში, განხილული ვერ იქნება, რადგან ბატონი მინაგო გიგოს ძე ინასარიძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი.

რაც შეეხება მე-2 მუხლის პორველი პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტს , სამწუხაროდ ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მითითებული პუნქტის არცერთი აუცილებელი პირობა (კრიტერიუმი) არ არის სახეზე. აქედან გამომდინარე, სკოლისათვის სახელის მინიჭების საკითხი საკრებულოს მიერ ექვემდებარება უარის თქმას. მიმაჩნია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ უარი უნდა თქვას სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემაზე.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე